ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 15. ყოველკვირეული ჟურნალი 1907 წ.

შესანიშნავი სურათები და ქანდაკებანი.



გამოძახილი.

აგტეს ნახატი.

ახალგაზრდა დედა.

გალონის ნახატი.

ილია ჭავჭავაძე *)

(მოკლე განხილვა).

III

1864 წლიდან ილია შორდება 10-11 წლით თფილისს და ხდება დუშეთის მომრიგებელ მოსამართლეთ. ამ სხვებლს ითხოვდა მისი ნივთიერი სივიწროვე. განშორდა ჟურნალს, მაგრამ კალამი ხელიდან არ გაუგდია. ამ დროს ეკუთვნის ილიას საუკეთესო პუბლიცისტური ნაწარმოებნი: „ხიზნების კითხვა“, „ცხოვრება და კანონი“, ეგრეთვე სცენები სოფლის ცხოვრებიდან. 1874 წელს თფილისში არსდება სააზნაურო ბანკი და ილიას იწვევენ მის თავმჯდომარეთ. ილია სიხარულით გადმოდის თფილისში და მედგრათ კიდებს ხელს ბანკის საქმეებს. ამ ახალ ასპარეზზედ ილია იჩენს დიდ უნარს, ფინანსურ ნიჭს და თვით ბანკს აყენებს მტკიცე საფუძველზე. ამავე დროს ილია ხდება გაზ. „დროების“ თანამშრომელად, რომლის მეთაურად იყო სერგეი მესხი. აქ ილიას უმართავს მწვავე პოლემიკას ბანკის შესახებ „დროების“ თანამშრომელი ნ ნიკოლაძე, რომელიც იყო საშინელი წინააღმდეგი სააზნაურო ბანკების, ანუ უკეთ საიპოტეტო კრედიტის. ილია იძულებული ხთება განშორდეს „დროებას“ და თავის თანამოაზრეებთან ერთად 1877 წელს აარსებს გაზ. „ივერიას“, რომელიც მალე ხთება ჟურნალათ, მაგრამ 1885 წლიდან იღებს ისევ გაზეთის სახეს.

საოცარის მხნეობით ეწეოდა ილია ორს მძიმე ჭაპანს: ბანკის და გაზეთის მეთაურობას. მთელი 20 წლის განმავლობაში არ იყო ჩვენში ისეთი საყურადღებო კითხვა, რომელსაც არ შეხებოდა ილიას მადლიანი კალამი. იგი მხნეთ ებრძოდა გაზეთით საქართველოს მტრებს და იცავდა ქართველი ერის ინტერესებს, მის ენას, პიროვნებას, უფლებებს, წარსულს და ცდილობდა აღეძრა ხალხში ეროვნული შემეცნება, სწავლა-განათლების წყურვილი, პროგრესიული მისწრაფება და მეურნეობის სიყვარული. ილიას გულითადი სურვილი იყო ყველა წოდებათა შორის სიძულილის ნაცვლათ შვიდობის და თანხმობის დამყარება. პოეტმა ილიამ იშვიათის ხელოვნებით დაგვიხატა „ოთარაანთ ქვრივში“ თუ რა დიდი ხრამია კიდევ თავადსა და გლეხს შორის. ის მუდამ ცდილობდა ამ ხრამის ამოვსებას. პოემა „განდეგილში“ ილია შეეხო ზოგად-კაცობრიულ კითხვას—ასკეტიზმს და საუცხოო ფერადებით და ფსიხოლოგიურ სიმართლით დაგვიხატა განდეგილის ყოფა-ცხოვრება კავკასიონის ცივს გვირაბში; მისი ვნებათა ღელვა და სულის კვეთა ტურფა არსების დანახვაზედ, რომელმაც საშინელ წვიმა-ავდარში შეაფარა თავი განდეგილის სენაკს და უმანკოთ მიიძინა ცეცხლის პირას ამ ციურ სიმშვენიერის მექონემ ბუნების ქოფა ასულმა. ილიას ენა, სტილი აქ შეუდარებელია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ილია მეტად ბევრს მეცადინობდა, რომ გაეფაქიზებია სამწერლო ენა, გაენთავისუფლებია იგი მეთვრამეტე საუკუნის ქართულ სქოლასტიკის მავნე ზეგავლენიდან და გაეხადა მდიდარი, ფერადოვანი, იმავე დროს ხალხისთვის ადვილად გასაგები. ილიას თვისება იყო კიდევ ნელა, მოფიქრებით წერა. თითოეულ ნაწერს 3-4 ჯერ გადაწერდა და ამუშავებდა. მას კარგათ ესმოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კალმით ნაწარმოებს. ყველაზედ უფრო სასტიკი კრიტიკოსი თავის ნაწარმოების იყო თვით ილია; თავად-კრიტიკა იყო მასში საოცრად განვითარებული. ამ რიგათ ილიას სამწერლო მოღვაწეობა იყოფა ორათ: იგია **შესანიშნავი პოეტი-ბელეტრისტი** და იმავე დროს **მეცნიერულად მომზადებული კრიტიკი-პუბლიცისტი; იგია ქართველი ერის და კერძოთ მშრომელი ხალხის მედგარი ქომაგი.** დინჯი პრაქტიკული ჭკუა, ალაზანივით მდორე აუჩქარებელი ბუნება, მტკიცე ხასიათი, ძლიერი ნება, მაღალი გრძნობანი, გარკვეული მისწრაფება, მრავალფეროვანი ნიჭი, სწავლა-განათლებით გაშუქებული გონება,—აი ილიას სულიერი თვისებანი.

რა არის ილიას პოლიტიკური კრედო, (რწმენა)? იგია **პროგრესისტ-დემოკრატი**, ფართო რეფორმების მომხრე, ევოლიუციონისტი. მას სურს ერის და ადამიანის თავისუფლება, მას წყურია ქართველი ერის თვითმართველობა, მას შვენიერად ესმის თუ რა პროგრესიული მნიშვნელობა აქვს ერის თავისუფლებას თუნდ შინაურ საქმეებში. მას ეზიზღება ცენტრალიზმი და ეროვნული იდეის უარის ყოფა, მას არ წამს მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზედ, ხალხის პროლეტარიზაცია და სხვა ამგვარები. აქედან მისი მკაცრი შეტაკება გაზ. „კვალთან“ და მესამე დასელებთან, რომლებიც შემდეგ მოინათლენ სოციალ-დემოკრატებათ, —მთელი 50 წელიწადი ილია ეწეოდა ქართველ მწერალ-მოღვაწის ძძიმე უღელს, მთელი ნახევარი საუკუნე ილიას ეკავა ხელში ქართველი ერის კულტურის დროშა, მთელი 50 წელიწადი ეს პოეტი-პატრიოტი უდგა თავის დაჩაგრულ ერს დარაჯათ რკინის პალოთი ვით კახაბერ გმირი და ნეტა რა მიუზღეს თავგანწირულ მოღვაწეობის ნაცვლად ამ ქართულ მწერლობის გოლიათს? ულრმეს მადლობის და დაფნის გვირგვინის მაგიერ დიდებულ მგოსანს თავისავე სამშობლოში, თავის საყვარელ არა-

*) იხ. „ნიშადური“ № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვის პირას **გაუგმირეს ტყვიით თავი და გული**... ქვეყნის მტრებმა, სამშობლოს მოღალატე ნაძირალებმა შარა გზაზე დაანთხიეს იმ კაცის წმინდა სისხლი, რომელიც იყო ქართველი ერის ქება-დიდება, მტვერში ამოსვარეს იმ კაცის ტვინი, რომელშიაც ჩდებოდა დიადი აზრები... ამა წლის 30 აგვისტოს ლაჩარმა ველურებმა ჩაიდინეს ეს საზიზღარი მკვლელობა და მით ჩირქი მოსცხეს მთელს საქართველოს...

მოჰკლეს ქართველი ხალხის მამა, ქართველი ერის ჭირისუფალი... არ დაინდეს არც მისი ჭაღარა, არც 70 წელი... ადამიანის ზენაარი სინდისი და მთელი ბუნება შფოთავს ამ საზიზღარ მკვლელობის შესახებ!..

ნეტა რა სურდათ ლაჩრებს ამ სიკვდილით?! ილიას მოსპობა თუ საქართველოს ეროვნულ გრძნობის ფეხქვეშ გათელვა?! მოტყუვდენ უმეცრები! ამ სამარცხვინო მკვლელობით ილიას მოჰფინეს უკვდავების შარავანდედი და აუგეს დიდებული ძეგლი ერის გულში. ამ მკვლელობით ამ ბნელმა ძალებმა გააღვიძეს მიძინებული ეროვნული გრძნობა; ამ მკვლელობით იმათ გაითხარეს თავიანთი სამარე...

ვინ არიან ის გარეწარნი, რომელნიც სატანურის აღტაცებით მიეგებენ ილიას სიკვდილს? ვინ არიან ის საბრალო დეგენერატები, ის სულით და გონებით დუხჭირნი, რომლებიც ატარებენ ქართველი სტუდენტის სახელს და არ სურთ გაიზიარონ ქართველი ერის გლოვა და ზარი?! ზიზღი და სიბრალული ქვეყნის ორგულთ! ნუ გიხარიათ, უღირსო შვილნო! ნუ გიხარიათ, ბნელო ძალებო, დიდი მოხუცის ვერაგული მოკვლა! ნუ გიხარიათ! ილია არ მომკვდარა, არა!..

არ მომკვდარა, ცოცხალია
საქართველოს ბურჯი, ფარი,
ერის გულში ის ანთია,
ვით ბრწყინვალე კელაპტარი!..

ს. ქვარიანი.



ი მ ე დ ი ს ს ი მ ღ ე რ ა

გვერწმუნეთ, ჯერედ იმედი
არ დაგვიკარგავს სრულადა
და ნუ გვიგულებს ნურავინ
უღონოთ, მოკუნტულადა!

ჩვენ თუ ამდენ ხანს ვიყავით
მიძინებული წყნარადა,
ძალას ვიკრებდით, რომ მტარვალს
მოვლინებოდით ზარადა.—

კვლავ გაგვიცხოვლდა იმედი,
გულს არ ვიტეხავთ, ვმხნევდებით
და ჰა საცაა, კვლავ მედგრათ
მტერზე რისხვითა ავღსდგებით.

მოუხმობთ მებრძოლ გმირებსა,
გადავიქცევით კაჟადა,
უზომო ტანჯვა-ვაებას
ვუნაზღაურებთ ასათა...

ჯერ კი დრო იმათ ხელშია,
დაე ეწიონ შვებასა;
ნუ მოიშლიან ჩვენს ზურგზე
ლხენას და ნეტარებასა.

დრო მოვა—შიშით ელოდენ
გაშმაგებულსა ბრძოლასა;
ნულარ ფიქრობენ მარად-ჟამს
ჩვენსა მონათა ყოლასა.

კმარა მონება. აივსო
მოთმინებისა ფიალა...
შურის ძიების ქარცეცხლმა
უკვე შორს დაიგრიალა.

რაკი ავღსდგებით საბრძოლად,
ძირს არ დაუშვებთ ხელებსა;
ან სულ გავსწყდებით, ან გავსწყვეტთ
მჩაგვრელებს, ულმობელებსა.

ნულარ გვიყურებთ, ვით სუსტსა,
უღონოთ, მოკუნტულადა;
ჯერ ძალას ვიკრებთ, იმედი
არ დაგვიკარგავს სრულადა!..

გ. ლადოშვილი.

მ უ შ ა ო ბ ა.

მუშაკნი ერისა და ქვეყნისანი დღე გამუდმებით, შეუწყვეტლად, დაუღალავად მუშაობენ გონებით და ხელებით, ჯანით და ნერვებით, სულით და გულით ყოველსავე სამუშაო დარგზე... გარბიან დღენი, გადიან თვეები, წლები და საუკუნენიც და მუშაობა ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ ერთს წუთსაც არ შეწყვეტილა და არცა როდისმე შეწყდება; იგი დაუშრეტელი მდინარესავით მიდის ხან წყნარად, ხან მრისხანედ, ხან ტკბილის ჩუხჩუხით და ხან აბობოქრებულის, აზვირთებულის ხმაურობით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქვეყნო მუშაობაში იდლება მუშაკთა ტვინი, შრება სისხლი, იქანცება გული, დუნდება ძარღვის ცემა—ადამიანი ჰქნდება და ყოველივე ამ უჩინარ მსხვერპლს, ამ ნება—ყოფლობით კისრად ნადებ ჩუმს ტანჯვა-ვაებას საგნად აქვს სიკეთე ქვეყნისა, კეთილდღეობა ერისა.

ერი და ქვეყანა, ვითარ უზარ-მაზარი გუთნის დედა კაცობრიობისა,—განუწყვეტლივ თხოულობს სულ ახალს და ახალს საყევრებს; ყოველ დღეს, ყოველ წუთსა და წამში მას ეჭირვება ახალ-ახალი ჯანღონით აღსავსე ხარ-კამეჩი ჰაპანის საწევად და ეგ ხარ-კამეჩი ისევ ქვეყნისა და ერის მუშაკნი არიან, მუშაკნი გონებით და ხელებით, მუშაკნი—მატარებელნი იდეალებისა და მისწრაფებათა საუკეთესო მერმისის მისაღწევად, ბედნიერების დასამყარებლად კაცთა შორის.

ერსა და ქვეყანას თავის სავალ გზაზე სჭირიან სინათლე წყვდიადის გასანათებლად, გონებრივი სინათლე, შუქ მომფინე ვითარ მზე. ეგ სინათლე მაღლა უნდა იყოს აღმართული, ისე მაღლა ვით იალბუზის მთა და მუშაკნი ქვეყნისა და ერისანი თავიანთ წვლილით, თავიანთ ჩირაღდნებს, რომელიც ინთება ხოლმე სულისა და გულის ცეცხლისაგან, დაუზოგველად უნდა უერთებდნენ და უმატებდნენ იმ კოცონს, რომელიც ოდესმე ამირანის მიერ იქმნა გაღვივებული ამ ცოდვით და სიბნელით სავსე ქვეყანაზე...

ძნელია და მწარე მუშაკთა ხვედრი, განსაკუთრებით ზოგიერთებისთვის, რომელთაც არა თუ ჯილდო, არა თუ მადლობა, პირიქით ლანძღვა და გინება, კილვა და კიცხვა თავს-ატყდება უმრავლესობისაგან, იმ უმრავლესობისაგან, რომლისთვის ხშირად გაუგებარი და უცხოა მუშაკთა მისწრაფება და აზრი.

მაგრამ ვერავითარი სიძნელე, ვერავითარი სიმწარე, ვერავითარი ობლობა და ბედშაობა ვერ შეაყენებს ნამდვილ მუშაკს, მის თავგამოდებით წინმსვლელობას. საჭიროა მხოლოდ ღრმა გრძნობა აუცილებელის მუშაობისა და ვაშა და დიდება იმას, ვინც მუშაობს გონებით და ხელებით ყოველივე თავის სახსარით და არსებით ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოთ...

ნამდვილი ადამიანი, კაცური კაცი მუშაობაში ისურათხატება. მუშაობის უნარს მოკლებული უკვე მკვდრებშია ჩარიცხული.

ნინა.

ყრმათა შორის.

(დასელების საგულისხმიეროთ),

— შვილებო, ყველაზე პატარა და უსუსური დიდერათ რათ ამოირჩიეთ?

— იმიტომ რომ ყველაზე უფრო სულელია!

რ ჩ ე ვ ა.

ძმავ, ნუ ეცდები სიმართლის გმობას,
სიბრაზით გული ნუ გიცოფდება;
მის დამხობაზე თავს ტყუილად ინტვრევ,
ფუჭი წადილი გაგიცრუვდება-
ვერ ვინ დაამხობს წმინდა სიმართლეს,
იმას მოელის გაბრწყინვალება,—
მის ვერაგ მტრებსა ალგვა მიწიდან
და იუდასებრ ტანჯვა—წვალება!..
ნუ, ძმავ, ნუ იზამ სიმართლის მტრობას;
სიმართლე არის ღმერთი—დიდება
და ცდა, ფიქრები მის დამხობაზე
დასაბამიდგან მარად ცრუვდება!

ი, მჭედლიშვილი.

სცენები სცენისათვის.

ქართულ თეატრის მოყვარული.

—იცი, ჩემო კარგო, ეუბნებოდა სვინა თავის ნათლი-დედას, გამიწყრა ღმერთი და ერთხელ ქართულს თრიატში წაველი, მაგრამ, მე არ მოგიკვდე, მეორეთ იქ ფეხი აღარ შევსდგა. დამატანა ძალა, იმ არ დასაცალებელმა ჩემმა ძმის-წულმა ანტონამ: წამო და წამო თრიატრშიო, კარგს რასმე არდგენენო. არ მინდოდა, მაგრამ ავჰყევი მეც იმ ცუღლუტსა და აკი არ გავყევი თრიატრში?! ამიყვანა სულ მაღლა, აი ქანდარას რომ ეძახიან... ქანდარა ქათმებისაოვის გამიგონია და ადამიანისათვის-კი პირველი გაგონება იყო. დავსხედით; გადავიხედე,—ვუი ჩემ თვალებს, ქა—ა, —თავს ბრუ დამესხა, თვალები ამიჭრელდა ძირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო გადავხედე. ამასობაში ანტონამ პატარა ფარატინი, ქაღალდი მომცა ხელში, წაიკითხე რას არდგენენო. დავიწყე კითხვა და ელდა მეცა; ქა, ქალო, „თამარ ბატონიშვილს“ ვარდგენთო და პირველსა და მეოთხე მოქმედების შუა ოცი წელიწადი გადისო. აბა, შენა გკითხავ, მე, ორმოცი წლის დედა-კაცი სად მოვესწრობოდი კიდევ ოცი წლის სიცოცხლეს და თრიატრში დარჩენა იმდენ ხანს სრულებით არც კი მეპიტნავებოდა და ისიც უცხო ხალხში, ავდექი და წავედი სახლში.

გავიდა ამის შემდეგ ორიოდე წელიწადი და ისევ ის ანტონა ამომიჯდა, წამო თრიატრში „ლალატს“ თამაშობენო. დაუჯერე მე სულელმა, თუმცა, როგორც იცი, თიაქარი მქონდა ფერდში, გავბრიყვდი და წავედი. აკიშაზე რომ წავიკითხე და შევიტყე, თუ ერთი მოქმედება გორს არისო და მეორე თბილისსაო,—აღარ დავდექი, არ მინდოდა ზამთარში სიარული გორსა და ქალაქს შუა, მეტადრე მე თიაქრით ავადმყოფს და გამოვბრუნდი სახლში. ასე და ამ რიგად ვერც ერთხელ ვერ დავესწარ ქართულ თეატრს!

კ. ყ—ნი.

ხულიგნების შორის.

— კმარა, ძმაო, ქუჩაში ხეტიალი! ეხლა „დუმაში“ წავიდეთ!

— მერე ვინ შეგვიშვებს?

— რატომ, თუ ტიმოშკა, პატივშია, ჩვენ რა იმაზე ჯარესი ვართ! მთელი ქვეყანა იძახის დუმა ხულიგნებისაო!!

აქლემისა და ვირის ამბავი.

(სპარსული ლეგენდა)

„სიცილი ზოგჯერ ცრემლზე უფრო მწარეა“

აკაკი.

სპარსეთის უდაბურ გზაზე, მრავალ რიცხოვან ქარავანს მიერეკებოდენ. ერთი აქლემი და ერთი ვირი დავარდენ, ველარ განაგრძეს სვლა. ქარავან ბაშმა მოხადა მათ ტვირთი, გაანაწილა დანარჩენ პირუტყვებზე და ეს დავარდნილი ვირი და აქლემი გადაიყვანა შარა გზიდან და მინდორში მიატოვა, თუ მგელმა არ შესჭამა და მომჯობინდა შემდეგ ეგებ ისევ ვიპოვნო და წავიყვანოო.

ამ დღიდან გაიარა რამოდენიმე თვემ, აქლემი და ვირი კარგად გახდენ და მშვენივრად ცხოვრობდენ მინდორ ტყე ველთა შორის. ერთხელ იგივე ქარავანბაში დიდის ქარავანით იმ ადგილის მახლობლად მიემგზავრებოდა—მათი ხმა და ყელზე მოხვეულ ზარების რაწკუნი კარგად ესმოდათ ამხანაგებს—ვირსა და აქლემს. ვირი ძრიელ გამხიარულდა ამხანაგების მოახლოვებით და თავის მეგობარს უთხრა?

— იცი! ძმაო აქლემ,—სიმღერა მოგინდაო.

— აჰ ძმაო ვირო,—მიუგო აქლემმა,— ღმერთი არ გაგიწყრეს არ იმღერო, თორემ გაიგონებენ მოგვაგნობენ, დაგვიჭერენ და ზურგზე ტყავს აგვაძრობენ ხედნითაო, მაგრამ ამაოდ, ვირმა მაინც დაიჯინა და ყოველივე მუდარა აქლემისა უმნიშვნელო შეიქნა, ამხანაგმა მორთო სიმღერა-ყროყინი.

არ გაუვლია რამდენიმე წამს ქარავანბაშიც გაჩნდა. დაიჭირა ორივე ამხანაგები აქლემი და ვირი, დაქვირთა შესიფერად და გაუყენა გზას.

რამოდენიმე დღის შემდეგ ქარავანი შეუდგა უზარ—მაზარ ქასირკალის აღმართს. ამხანაგები ერთად მიდიოდენ, ვირი წინ იყო და აქლემი უკან. გზა საცალფეხო იყო, ერთის მხრით ისეთი ხრამი იყო, რომ თუ ფეხი გადასცდენოდა ვინმეს ის სიკვდილს ველარ გადურჩებოდა. ვირი დაიღალა და დავარდა, აქლემი ყოჩაღად იყო, ქარავანბაშიმ აიღო ვირი თავის ტვირთით იმის ამხანაგს აქლემს დაადო ზურგზე... მიდიან ნელ ნელა, როცა ერთს საშინელ ღრიანცელთან მიაღწიეს, აქლემი ეუბნება თავის ძმობილს „ძმაო ვირო, ცეკვა მომინდაო. ვირს გული გაუსკდა და დაუწყო ვედრება.

— არა ძმაო, რა დროს ცეკვაა, ამ საშინელ ხრამთან, არ ქნა არ იცეკვოო.

— არა ჩემო კეთილო.—მიუგო აქლემმა, როგორც შენ ვერ მოითმინე მაშინ უსიმღერობა, ახლა მეც ისე ველარ ვითმენ უცეკვობასაო და გადახტა-გადმოხტა. საბრალო ვირი გადმოვარდა ძირს და ისე დაეშვა უფსკრულისკენ, რომ ძირამდი სულიც აღარ ჩაჰყოლია.

რაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატოლრლის პოლიტიკურ დამნაშავეთა სიმღერა.

მინაკოვისა *)

მშვიდობით, ჩემო საბრალო ერო,
მშვიდობით ძმანო, მშვიდობით ყველა,
აღსასრულისა ჟამი დაგვიდგა
მზად არის ჩვენთვის აწ სახრჩობელა!

* * *

სამშობლო მხარეე, იქნება შენს ვალს
წინედ მე მედგრად ვერ ვასრულებდი,
თუმცა აღგზნებულს შენსა სიყვარულს
მუდამ ჟამს გულში მე ვაღვივებდი!

* * *

თვალთ მიბნელდება... და სული ღაფავს,
ყელს წამიჭირეს... დამადგა ძალა...
ვაშა! მაშ ვაშა იმ პატარა ერს,
ვინც თავისს თავი მას ანაცვალა!

ზ. ედილი.

შურის საქმეა!

ფირუზ. ნეტა რას ემართლებიან ჩვენს აზიანს?

დარჩო. თავის სცენები ორს გაზეთში დაუბეჭდნიაო.

ფირუზ. მერე მაგით მითომ ვის დააკლდა?

დარჩო. ვის უნდა დაჰკლებოდა?—მარტო „ნიშადურსა“ სწყინს, მეორედ რატომ ჩემს გაზეთში არ დაბეჭდე შენი მარგალიტებიო... ახარ, შურის საქმეა, სხვა არაფერი!..

ეს რა ხალხია?

ეს რა ხალხია, რომელსაც წყალობის მისაღებად შვიდი სიტყვა მოუგონია:

თხოვნა, ვედრება, ხვეწნა, მუდარა, აჯა, ქენება და ნუკვა.

და რაც სიმართლით ერგება, იმის მოსაგებად არც ერთი სიტყვა არ ეპოვება.

ეს რა ხალხია, თუ არ მათხოვარა და მტაცებელი?

*) ეს პატარა ლექსი, რომელსაც პოლიტიკურ დამნაშავე მინაკოვს აწერავენ, კატორგის პოლიტიკურთა შორის დიდათ იყო გავრცელებული. გადმოთარგმნილია ჟურნალ „былое“-დგან.

ქართული ხელოვნება.

ივანე ფალიაშვილი.

ქართულს ხელოვნებას დღითი დღე ემატება ნიჭიერი და მუყაითი მუშაკი და ეს არც საკვირველია, რადგან ქართველი ხალხი დიახაც ნიჭიერია, თუ კი გარემოება ხელს შეუწყობს და შესაფერ სწავლა-განათლებას მიაღებინებს. ჩვენს ეროვნულ მუსიკაში ყოველ ეჭვს გარეშე შესამჩნევი ადგილი უჭირავს ახალგაზდა მემუსიკეს ივანე პეტრესძე ფალიაშვილს.

ვანო ფალიაშვილი ქართველ კათოლიკეა, დაიბადა ქუთაისში, იქვე სწავლობდა გიმნაზიაში. პირველი გაკვეთილები და ხელმძღვანელობა მუსიკაში მიიღო ცნობილის განსვენებული მუსიკის მასწავლებელთან ფ. მიზანდართან. ვანო ფალიაშვილი პატარობიდანვე შეეჩვია კათოლიკეთა ეკლესიაში ორგანოზე დაკვრას და ქუთაისში იყო ორგანისტად. 1889 წელს გადმოყვანილ იქმნა ტფილისის ქართვ. კათოლ. მიძინების ეკლესიაში, სადაც რვა წელიწადი ეწეოდა ორგანისტობას. ამ ხანებში ნელ ნელა შეუდგა მუსიკის შესწავლას პრაქტიკულად და თეორეტიულად თეატრებში. მუშაობდა მ. საფაროვი—აბაშიძის ოპერეტკაში ხორმეისტრად, მერე გადავიდა ოდესის საქალაქო თეატრში, სადაც შვიდი წელიწადი დაჰყო. ეს უკანასკნელი ოთხი წელიწადი ორკესტრს დირიჟორობდა (ლოტბარობდა) ისეთს მუსიკალურ ქალაქებში, როგორიც არიან ოდესა, მოსკოვი, კიევი და ბოლო სეზონში ვარშავა. ამ უკანასკნელ ქალაქში დირექცია ბევრს ეცადა ფალიაშვილი დირიჟორად დაეტოვებინა და საუცხოვო პირობებზედაც იქნებოდა, მაგრამ ახალგაზდა მემუსიკეს სძლია სამშობლოს სიყვარულმა და ტფილისს მიიღო ანგაჟამენტი საოპერო დასში, რომელიც ამ ჟამად მოქმედებს სახაზინო თეატრში. ვანო ფალიაშვილი ჯერ ახალგაზდა კაცია, მხნე, გამრჯე და ნიჭიერი და სრული იმედია, რომ შესაფერ განძს შეიტანს ქართულ ეროვნულ მუსიკაში.

პირუტყვი ხარ.

(მიბაძვა აზიანისა)

ტანად ტურფა ეშხიანი
მიხვრა-მოხვრით კოპწია ხარ,
ხორცით ლანდი, გძელთმიანი,
სულიერი პირუტყვი ხარ.

სახით ტურფა, მშვენიერი,
თვალ წამტაცი მიმინო ხარ,
ვით ჯადო ამ ქვეყნიერი
ისე მავნე პირუტყვი ხარ.

ემგზავსები გაშლილ ვარდსა,
მაგრამ მჩხვლეტი ეკალი ხარ,
შენ ცოდვებს და ქვეყნის დარდსა
არ გრძნობ, რადგან პირუტყვი ხარ.
სიყრმიდგანვე გარყვნილებას
ვნების ღელვით აუზდიხარ,
მოკლებული კეთილ გრძნობას,
კაცათ ქმნილი პირუტყვი ხარ.
სახე გიგავს ანგელოზსა,
საქმით ქაჯი ეშმაკის ხარ,
სიტყვით გევხარ ტარტაროზსა,
მოქმედებით პირუტყვი ხარ.
ქვეყნის ცოდოს თავზე იდებ,
მგონი მითვე შობილი ხარ,
შენს მოდგმაზე შენ ხელს იღებ,
საზიზღარი პირუტყვი ხარ!
ყველა ნდობით შემოგყურებს,
გულით კი არვის უყვარხარ
გრძნობით ან ვინ შეგიყვარებს,
როცა ეგრე პირუტყვი ხარ!..

უჩინარიძე.

ქვრივები*)

—

რომელი ქალი არ ინდომებს მიწასთან გასწორებას თავისს ბედნიერ მოქიშპისას? მით უმეტეს თუ ეს მოქიშპე მის მოკეთეთაც ითვლება. ახალგაზდა ქვრივმა ანიკომ გაუწოდა მთელი ბღუჯა წერილებისა, მთლად გაფითრებულსა და შემკრთალს მარიამს.

— აი, ყველა ეს წერილები, ქალბატონო, ჩემის განსვენებულის ქმრის ქალალდებში ვიპოვნევი.

მარიამმა ხელის კანკალით გამოართვა წერილები.

— მე არ ვიცი რა ვიფიქრო ეხლა თქვენზედ... თქვენ ან ძალზედ ღვარძლიანი ადამიანი უნდა იყვეთ, ან მეტად დიდ სულოვანი.

— არც ერთი და არც მეორე. მე მხოლოდ გაკვირვებული ვარ და გონს ვერ მოვსულვარ,— სთქვა ანიკომ და ზიზღით გადახედა მოქიშპეს.

— მე მთელად გადავიკითხე ეგ ეშხით სავსე წერილები და გაკვირვებული ვარ ნუ თუ ნიკოს შეეძლო თავდავიწყებამდის ვისიმე გატაცება.

მისი წერილები წაუკითხავთ! მარიამი ისე შერცხვენილადა და დამცირებულადა გრძნობდა თავისს თავს, რომ მიწა გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა ის უჯობდა.

*) გადმოკეთებულია ვ. დობოშევიდგან.

— თქვენ შეგიძლიანთ გეზიზღებოდეთ და გძულდეთ, რადგანაც მე თქვენის ქმრის მოტრფიალე და საყვარელი ვიყავ. მე თავადაც ეს ვიცოდი, გაგიჟებით მიყვარდა ის და არც შეიძლებოდა, რომ არა მყვარებოდა ის, ის...

— ჩემი ნიკო? წარმოიდგინეთ აზრათაც კი არ მომსვლია!

— ის ისეთი საკვირველი რომ იყო, ისეთი ტურფაც, ნაზი, მხიარული რომ...

— ვინა, ნიკო?

— ისეთი ენაწყლიანი იყო, ისეთი მოსაუბრე, მოლაპარაკე, რომ ყველას ჰხიბლავდა და ატყვევნებდა მისი ენა. ოჰ, ღმერთო, რა ჩქარა მირბოდა მასთან ლაპარაკში დრო.

— ჰოი საკვირველებავ! ჩემი ქმარი მძინარა, ზარმაცი, რომელიც ჭიასაც კი ვერ გააღვიძებდა, რომელსაც ხეირიანად ხმის ამოღებაც კი არ შეეძლო, რა ნაირის საოცნებო ღირსებითა ყოფილა შემკული! კაცი რომელსაც სისხლის მაგიერ წყალი დაურბოდა ძარღვებში!

— რას ამბობთ, რათ ცრუობთ! ის ისეთი მოსიყვარულე და მოალერსე იყო! ისეთი ღვთიური ცეცხლი ღვიოდა მა'ში, რომ გეგონებოდათ მთელის ქვეყნის მოხიბვლვა შეუძლიანთ!...

— თქვენ. . თქვენ თუ არა ვსცდები განსვენებულის თქვენს ქმარს ვასილს ახასიათებთ, არა?

— ვასილს, ჩემს ქმარს?!

— დიახ! თქვენ ახასიათებთ თქვენს განსვენებულს ქმარს ვასილს და ისე მშვენივრათა და საუცხოვოთ ასურათ-ხატებთ ამ დიდსულოვანსა და საყვარელს ადამიანს, რომ მე მზათა ვარ ორივე ხელი მოვაწერო თქვენს ნათქვამს.

— თქვენ?!

ისინი დიდხანს უცქეროდნენ ერთმანეთს, ისე როგორც შეუძლიანთ ცქერა, ორს ერთმანეთის მოსისხლე მტრებს, უნდოდათ გულის სილრმეში ჩასწობოდნენ ერთმანეთს და იქ დიდის ხნის დამალული საიდუმლოება ამოეკითხნათ.

— თქვენ?! თქვენ?!

— ჩვენ ბარი-ბარში ვართ. ქვეყნიერებაზედ სიმართლე არსებობს იცით თუ არა! დიახ, დიახ! იმ დროს როცა თქვენ დამცინოდით და მასხრათ მიგდებლით ჩემს ქმართან ერთათ, მე მაგასვე ჩავდიოდი შენს საკუთარ ქმართან ერთად.

— თქვენ? მაგას ჩადიოდით... იმასთან?

— იქნება გსურდეთ იკითხოთ რა უფლებით? ისეთისავე უფლებით, როგორც თქვენ სწერდით ჩემს ქმარს აი ამ წერილებს.

— არა, არა!.. მაგრამ ისეთის ქმრის გაცვლა როგორც განსვენებული ნიკო... უკაცრავად მე მინდოდა მეთქვა, როგორც განსვენებული...

— არა უშავს რა, არა უშავს! მე ვერა ვხედავ მიზეზებს, რისთვისაც არ შეიძლებოდა იმისი ვასილზედ გაცვლა.

— იმ დათვზედ, იმ ტყის ნადირზედ, იმ ქალების მტერსა და მოძულეზედ?

— მე მაგ ნაკლს ვერ ვამჩნევდი, პირიქით ის მუდამ მოსიყვარულე, მხიარული და ქალის პატივის მცემელი იყო.

— ის მოუხეშავი ველური, ის ყოველივე გრძნობას მოკლებული.

— სცდებით! ის მუდამ მოღიმარი იყო და ისეთის თავდავიწყებით მოსიყვარულე რომ...

— იმ მძოვარს!!!

— სასტიკათ სცდებით!

— იმ ქოფაკს, გამოყრუებულს?

— თქვენ სცდებით და ათი ათასჯერ სცდებით, ჩემო კეთილო.

— მე ხომ იმის ცოლი ვარ და ნუ თუ არ ვიცი რა კაცი იყო.

— თქვენი კაი ქმარი იყო, მაგრამ მე მგონი თქვენზედ ნაკლებ არც მე ვცნობდი იმას. ჩემთან გულცივი არასოდეს არ ყოფილა. ყველა მაგის თქმა უფრო ჩემს განსვენებულს ქმარზედ შეიძლება.

— მის სახელს ნუ ახსენებთ ხოლმე ვასილთან ერთად. ოჰ ნიკო! განა შეიძლება კაცმა დაივიწყოს იმის ალერსის იმის ხვევნა!

— საუბედუროთ მე არ შემიძლიან მაგის თქმა,—მე იმის ცოლს ისევე, როგორც ვასილის შესახებ თქვენ, იმის ცოლს

აქ ორივემ გაუწოდეს ერთმანეთს ხელი, ისე როგორც ერთნაირს უბედურებაში ჩავარდნილნი გაუწვდიან ხოლმე.

— ოჰ, ოჰ ღმერთო, ჩვენს ქმრებს მხოლოდ სხვებისგან გავიცნობთ ხოლმე.

— საკვირველებაა!

და შერიგების ნიშნად ორივემ ერთმანეთი გადაჰკოცნეს.

— მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს რომ ჩვენ შეუფერებელ კაცებს ვყავდით ცოლებათ.

— დიახ და ჩვენც არ უნდა მივთხოვებოდით შეუფერებლებს!

ზ. ედილი.



მხერხავი მუშა.

ალფრედ ბუშეს ქანდაკი.

საქართველოს ტერიტორიის თავგადასავალი.

მშვიდობიანი დაპყრობა.



მშვიდობიანი განთავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანა.

(ფოთ-ქუთაის-ჭიათურლებს)

გამოცანას მოგახსენებთ,
მცირეა და არა ვრცელი,
რომლის ახსნას მკითხველისგან,
მე, ავტორი გამოველი.
მიპასუხეთ რა გვარია,
ან რა ჰქვია მას სახელი?!..
(ეგებ ამით გავასწოროთ,
უნამუსო და მძარცველი!..)
ფოთშიც არის, ქუთაისშიც,
ჭიათურის საძაგელი!..
მექრთამე და „კლიაოზი",
მანეთისთვის კაცის მკვლელი!..
ბევრი აძევს ძველი ცოდვა,
იკბინება, როგორც გველი;
მრეწველთ რიცხვში ჩარიცხულა,
ეს წურბელა—სისხლის მსმელი!..
ჯაშუშობისათვის შარშან,
მამა-მისსაც სცემეს ბევრი,—
ცემის შემდეგ გამოპარსეს,
ცალი ულვაში და წვერი.
სადაც გამოსარჩენს ნახავს,
იქეთა აქვს ორივ ხელი!
გარს აცვია ზნეობრივი,
მას პერანგი ურეცხელი.
მარად გულმოდგინეთ ცდილობს
გაგითხაროს ფეხ-ქვეშ ხვრელი.
თვითონ მაშინ მხიარულებს,
როს სხვასა სდის სისხლის ცრემლი.
თვალით გიმზერს, საფლავს გითხრის,
ენით მწარე, საქმით ჭრელი.
ტარტაროზის მოადგილე,
ქვემძრომი და მორიელი.

ბომბა.

ონოფრეს აღსარება.

(წარსული თავისუფლების მოგონებიდან).

აღარ ვიცი ვის ვერწმუნო,
რა პარტიას ვეკუთნოდე...
ერთ მათგანს რომ პატივს ვსცემდე,
მეორეს კი უნდა ვგმობდე?!
„ესდეკების" კრება ვნახე,
მომეწონა, შემიყვარდა;
აღარ მსურდა სამლოცველო
მქონებოდა სხვა მათ გარდა.
„ანარხისტებს" დავესწარი,
ვსთქვი—სამოთხე ამა'ს ქვია!
მაგას თავს არ დავანებებ—
თუნდ გულში მკრან ცხელი ტყვია.
„ფედერალისტები" ვნახე,
აქ გული მთლად შემექანა,
ვსთქვი, თუ ამის უკეთესი
კიდევ არის სხვამ რამ განა?
მერე ვნახე „ესერები"
ოცნებაში შემაცურა,
გული ძალზე ამიღრინდა,
საბრძოლველად გამაშურა. .
ხან ვიყავი „ფედერალი"
ხან „ესდეკი" ხან „ესერი,"
ზოგჯერ კიდევ „ანარხისტი",—
უფრო ხშირად არაფერი...
ამერია გზა და კვალი,
აღარ მესმის არაფერი...
ვაი თუ ფუჭად დამრჩენოდეს—
გული ძალზე ანაძგერი.
ეხლა მე და ჩემი თავი
დავრჩენილვართ მარტოთ მარტო,
და არც ვიცი ჩემი ჭკუა
რომელ პარტიას შევმატო!..

ხ. ა. ს.

უკანასკნელი აქტი თფილისის სალახის გმირისა.

ვირთხანანცი და მისი ვირი თფილისიდან გადიან დიდის ამბით და ზეიმ-ზარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჭარხნის სიმღერა.

არვის დარდი არ მაწუხებს, დრო ვატარებ სიცილითა,
ყურს არ უგდებ ჩემსა მუშებს, თუ გინდ გაწყდნენ სიმ-
შილითა!..
ქარხანა მაქვს დაკეტილი, რა მაკლდება?.. არაფერი!
არ მაწუხებს მე სიმშილი, ვცხოვრობ ჩემთვის ბედნიერი...
არ გავტეხავ მე ჩემს სიტყვას, მუშებს ქედი მოეხრება...
რომ ვიგონებ მათ გაფიცვას, სულელივით მეცინება:
„მოდი ძმებო, გავიფიცნეთ, შევკავშირდეთ ყველა ძმურათ,
„ხაზეინსა მეხი დავცეთ, ჩვენც ვიცხოვროთ მისებურათ.
„ჩვენ რომ მას არ ვეოდებოდით, ის ვერ გასძლებს,
ეგ ცხადია...
„ის სუქდება ჩვენის შრომით ჩვენ კი, ძმანო, მუდამ
გვშია“!..
მეც დავკეტე დიდ ქარხანა და არ მივეც არვის ბინა;
ვნახავთ ბოლოს ვინ გაიტანს, გაიმარჯვებს ჩვენში ვინ?!
თუ გავალებ იმ ბირობით, რომ იარონ ჩემს რჩევაზე,
თუ არა და ძველებურათ ბანდურსა ვკრავ, გავური კარზე!..

ი. გრი—ი.

„ნიშადურიანი“.

ესე არაკი არა ძველია—ახალი.

კარი პირველი.

(აქ არის ამბავი სიღნაღისა, ვაქირისა და ანაგისა).

ამას წინათ საშინლათ დამჭირდა ნიშადური, მივწერე: პარუნ რედახტურ, თუ უფლის სახე გიყვარს, ცოტა ნიშადური გამომიგზავნე, რომ ამოვცხო სიღნაღის მაზრის „ზოგიერთ“ არა მკითხე ხალხს, თორემ თავიანთი „სოვესტი“ გამოაქვთ და ნიახურის ფასათ ჰყიდიან-მეთქი, რას ვამბობ, ნიახურის ფასათ კი არა ღვინის ფასათ, რადგან წელს კახეთში ღვინო უფრო იაფია, ვიდრე ნიახური!.. მადლობელი ვარ, რომ ტელეგრამით უნალოჟპლოტეჟოთ მომივიდა ნიშადური. შატ შნორაკალიმ, შატ შნორაკალიმ!..

ფოსტიდამ, რომ მიმქონდა, გზად შემხვდა თაღლითაანთ თაქუა და მკითხა: ეგ რა მიგაქვსო?

—მე ვებნები, მიმაქ—მეთქი, ნიშადური—მეთქი რალა!

— ვიცი, ვიცი, თუ გინდა, რომ აქაურობის ავკარგი გაიგო გირჩევნია მე ამომცხოვო!..

არც ვაცივ, არც ვაცხელე და ამოვცხე...

შეხტა ეს დედა-კაცი, შემოტრიალდა, დაიწყო ხტუნაობა. ბოლოს სიმწვავემ, რომ ძალა დაატანა, დაიწყო სიმღერა *).

„სიღნაღში გაგვიჩნდნენ
ჩვენ უცხო სტუმრები;
„ნაგან-ბერდანებით“;
თავხედი მდგმურები.
მათს ჯგუფს ეწოდება
აქ „დაშნაკცაკანი“...
კვერცხებს კი არ სდებენ,
ტყუილია კაკანი...
ვებნები ჩვენ სომხებს
არ დაუგდოთ ყური,
მაგ მუქთა მჭამლებსა
მოსცხეთ ნიშადური“!..

შემეშინდა, მაგრამ არც შემეშინდა; გავიქეცი, მაგრამ არც გავიქეცა,; წავიქეცი, მაგრამ არც წავიქეცი; მივრბოდი, მაგრამ არც მივრბოდი!.. ხევ—ხევ დავყევ და ვაქირში კი ამოვყავ თავი. „პასილკა“ ხელში შემრჩა. წვიმს, წვიმს... ისეთი ნიალვარი მოდის, ბუქი დგას მტვრისა; ცხელა, ცხელა, პაპანაქება არის. შიშველი ვარ, ტიტველი ვარ, ჩაცმული ვარ, დახურული. თოვს; ბრწყინვალე მზეა!.. მშიერი ვარ, სულ ლაწ-ლაწი გააქვს მუცელს. ძალზედ მთვრალი ვარ. ფეხზედ ვერ ვდგები. მივფრინავ!.. მივეპარე ამკარად უჩინმაჩინის ქუდით და ერთ ნამამასახლისარს ამოვცხე ნიშადური. ისეთ ნაირად იმოქმედა, რომ სულ „პოლკა-მაზურკის“ ტანციობა დაიწყო და შემოსძახა შიქასტა:

„ვაქირის მეპატრონე ვარ,
მისთვის შემტკივა გული;
ლაყიას ბიჭს *) ვანაცვალეფ,
რომ ამოვხადო სულია!!..
სოფლის დავთრები რომ დავწვი,
სულ იმას დავაბრალეო;
ხარ-კამეჩი გაუყიდე,
არავინ შევიბრალეეო!..
ისევ მინდა კვლავ რომ გავხდე
ვაქირს მამასახლისიო,
რაცა ვჯიბე კიდევ ვჯიბავ,
შევივსო დანაკლისიო!..

გამონელდა... პატარა სიმშვიდე იგრძნო. მიღუნა თავი, წარბები შეიკუმშა და წაიბუტბუტა:

საიმისო არა მითქვამს,
რომ დაგეგდოთ თქვენ ყურიო;
ვაჰ რა ტიალ ყოფილაო
ეს თქვენი „ნიშადურიო“!..

გამექცა. გავექეცი... ამოვყავ თავი კოპალის სასაფლაოზედ. შემხვდა მშვენიერი სურათი: წინ

---

*) მეც იქ დავესწარ „ვაი, ვაის“ ხმაზედ ამბობდა თაქუა.

ასოთამწყობი.

*) „ლაყიას ბიჭი“ მის შემდეგ იყო მამასახლისათ და ამ ორთა შუა დაიკარგა სოფლის დავთრები.

შენიშ. გზირისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი, უკან ფაშატი ვირი მიზდევდა, აქეთ იქით ერთი გაკრეჭილი და მეორე ჯერ გაუკრეჭავი მთავრები მოზდევდნენ, უკანიდან ორი დიაკვანი—ერთი სწორეთ დაუზელავ ცომსა ჰგვანდა და მეორე-კი უფრო მოხდენილი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ ჯერზედ ჩაფი არ ეყოფოდა. ბოლოს მისდევდნენ „სტაროსტა“, მშვიდი სახისა და მოხუცებული. ამის უკან საყდრის ყარაული, რომელიც ცალის ფეხით ჰბარავდა და თან პირს იწკმატუნებდა, თითქოს რაღაც სისიამოვნო საჭმელს მოელისო... მივეპარე და ამოვცხე „ნიშადური„ ფაშატს ჯორს—შეყარა ტლინკები და ყროყინით თავქვე დაეშო და სწორედ გიოს დუქნის წინ გადმოყარა ხურჯინები. თურმე ტაბლები ყოფილა და ვიდრე პატივცემული კრებული მოეწევოდა ჯორს, ტაბლები უკვე გაეთავებინათ იქ მყოფ ახალგაზდა „ჯეჰელებს“...

გამეცინა... მივრბივარ... ანაგას ამოვყავ თავი!..

მაგრამ რა ვნახე!.. უხილავ რამ... მარქსის სურათი ღემართნათ ორს „ამხანაგს“ ლევან ივანიჩ დობჩინსკის და რომან ივანიჩს ბობჩინსკის. და ზედ სურათზედ დასჯდომოდა თავადიშვილი *) ხმა შეწყობილათ და ხმა შეერთებით ჰგალობდნენ ტკბილსა საგალობელსა:

მოდით, ბრიყვნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით რამეს არა კარგსა;
მიწის მხვნელი, მუშა გლეხი—
ყველა ესე მარქსა სძაგსა!..
ვინ იყავით, რა იყავით
თქვენ ქართველნი წინა დროსა,
ქართულ ენას ნულარ მისდევთ,
შეუერთეთ მწუპე მდორსა!..
წინედ მართლა ქართველობა
იყო თქვენში სასახელოთ
ეხლა გავხდეთ „პროლეტარნი“
„ცენტრალიზმი“ ვასახელოთ!
თქვენ ხომ მამული ცოტა გაქვთ
და ვერც ირჩენთ იმით თავსა,
მაშ კარგათ გაუმასპინძლდეთ
ჩვენს დამღუპველ ყორან-ყვავსა!..
„ილია“ რის მაქნისია,
რისთვის ეძახით პოეტსა?..
გიჯობთ ყველა უარიჰყოთ,
ნუ იწამებთ „ნოეს“ მეტსა!..

*) ეს ის თავადიშვილია, რომელიც შუადღემდე ვიდრე მამულებს გაჰყიდდა, თავადიშვილობდა და შუადღის უკან „გაამხანაგდა“.

შენიშ. ვითომდა სოც. დემოკ.

ცამ გაიელა. ამოვარდა ქირიშხალი. ღრუბლები მიიწმინდ-მოიწმინდა. დამშვიდდა ბუნება და გამოჩნდა ბრწყინვალე სახე შექსპირისა, რომელიც ნაზად მღეროდა:

„ვაი სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე“

მივიხედ-მოვიხედე. ვხედავ—ერთ კაცს ერთი ბღუჯა ქიღალდები უჭირავს. ვეკითხები:

— ეგ რა არის?

— შენი საქმე არ არის...

მოვცხე ნიშადური.

შეხტა-შეტორტმანდა და ქაღალდები ხელიდამ დასცვივდა. წავიკითხე:

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

„რადგან ჩვენ „კასას“, ცოტა არ იყოს, ფხინკი მოუვიდა ბზინკის მაგიერ, ამის გამო ჩვენ „ახალ თაობის“ ხალხმა ვიპოვეთ სხვა საშუალება მის გასაძლიერებლათ: ვისაც დამწვარი თამასუქ-ვექსილები გაქვთ, ან წარამარათ დარჩენილი, გთხოვთ შემოსწიროთ და ჩვენ გადავახდევინებთ, როგორც კანონ-ზაკონით, აგრეთვე „მუქარის“ ძალითაც, „ამხანაგებო“ ნუ დაიშურებთთ ძველ ვექსილებს—სულ ერთია, თქვენთვის ხომ ღსარგებლოა. ამგვარი ვექსილები უკვე ბევრი გავანაღდეთ. ადრესი: სიღნაღი, სანთლის საწყობი, ანუ ქოდალოში „მიროვოი სუდთან“.

თქვენი კეთილ ს მომსპობი და ჩვენი კუჭის გამასუქებელი ვითომდა „ახალთაობა“.

გზა დავულოცე—შემდეგ მეც თვითონ ამოვიცხე ნიშადური... თურმე, დავრპოდი და ვყვიროდი: „აპატიე მათ ღმერთო რამეთუ **იციან**, რასაც ჰქმონენ“...

(დასასრული პირველი კარისა)

მანთუზ დევი.

2767 წელსა, ნოემბრის 67 დღესა.
ქალ. ვერმიცანპოლი.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲣᲛᲐ.

ორი გარეკეს...
ახლა მესამე!
ეს არჩევნები
ცუდათ მეცა მე...
რა გაარიგა
იმ ორმა კარგი,
რომ ამ მესამემ
აგვხადოს ბარგი?!
იმ ორში ბევრი
ახალის აზრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ქალაქის,
დაბების, მაზრის...
ახლა მეტია
უფრო ძველების
სიტყვით და საქმით
ნამდვილ გველების...
არაფერს მოგვცემს
მესამეც, ვიცი...
ნუ გინდათ ამის
თქვენ ჩემგან ფიცი;
თუ გინდათ ჩემგან
თქვენ სიტყვა მტკიცი,—
ჩვენ გამოგვივა
დუმიდან კვიცი!!.

თომა პუსა.

პროვინცია.

ქუთაისის რამე-რუმე.

— დეპეშით გვატყობინებენ, რომ ფინანსთა მინისტრს შემდეგი წერილი გაუგზავნია თავად ანდრია ერისთავისათვის: „ღრმად პატივცემულო ჭეშმარიტო თავადო! უგულითადესი მონაწილე ვარ თქვენის მწუხარების. ძლიერ ვწუხვართ, რომ განსვენებულმა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც, წინააღმდეგ მთავრობის სურვილისა, საჯაროდ დაგმო სიკვდილით დასჯა, შეცდომაში შეიყვანა ჩვენი ბრწყინვალე წოდება და სახელმწიფო საბჭოს წევრად თქვენი თავი არ აარჩევინა. გთხოვთ მოგვიტევოთ ჩვენი უნებლიეთი შეცდომა და, ნაცვლად საბჭოს წევრობისა, მიიღოთ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის „ოპეკუნობა“. სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენი ბრწყინვალების დიპლომატია-გამოცდილება, თქვენი ფინანსიური ნიჭი, რაც უკვე გამოიჩინეთ ჯერ ფოთისა და შემდეგ ქუთაისის საურთიერთო ბანკების მართვა-გამგეობის დროს, თავმდები იქნება იმის, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკსაც ამგვარადვე ფეხზე დააყენებთ“. თავადი ანდრია თურმე ჯერჯერობით უარს ამბობს ამ წინადადების მიღებაზე; იმედი აქვს, რომ მთავრობაც ქუთაისის საურთიერთო ბანკის წევრებივით დეპუტაციას გაუგზავნის, და მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდება.

— ქუთაისში მომქმედი შანტაჟისტ-ექსპროპრიატორები ძლიერ შეუშინებია ქალაქის მცხოვრებლების მიერ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად შემუშავებულ ზომებს და ერთხმად დაუდგენიათ, არამც თუ შემდეგში ხელი აიღონ ყოველგვარ ძარცვა-გლეჯასა და ძალმომრეობაზედ, არამედ ის ფულებიც კი დაუბრუნონ პატრონებს, რაც ამდენხანს წაურთმევიათ მათთვის.

— ქუთაისის კლასიკურ (მთავრობის) გიმნაზიის მოწაფეებს ერთხმად დაუდგენიათ, რომ სულ ცხვირ-პირი ჩაამტვრიონ იმ ბიუროკრატ მასწავლებლებს, რომელნიც გაკვეთილის უცოდინარობისთვის გაუბედავენ მათ ცუდ ნიშნების დაწერას, ან რაიმე შენიშვნას მისცემენ მათ სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ.

— ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ზოგიერთ წევრს, რომელთა „საზოგადო მოღვაწეობა“ აღნიშნულ იყო მრეწველთა წლევანდელ საზოგადო კრებაზე, დაუდგენიათ, საბჭოს სტატისტიკოსის თანაშემწედ მოიწვიონ ისეთი კაცი, რომელსაც სტატისტიკაში პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ასეთ პირად მათ უცვნიათ კლუბის ერთი კარგათ ცნობილი „Завсегдатай“, რომელიც მეტად დახელოვნებულია თურმე „ცხრიანების“ სტატისტიკაში.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებს დაუდგენიათ, არამც და არამც გარედან არავინ შემოუშვან მოსამსახურედ, არამედ თავიანთ შორის გაინაწილონ ადგილები, მიუხედავად იმისა, შეეძლებათ თუ არა მათ ამა თუ იმ თანამდებობის შესრულება, და თუ ვინმე გარედან მიიღეს, უსათუოდ თავისი „ძმა-ბიჭები“ უნდა მიიღონ.

— ქუთათურ მოწაფეებს დაუდგენიათ, რომ ამოფხიკონ ლექსიკონიდან შემდეგი სიტყვები, როგორც დაძველებულნი და ეხლანდელ დროის სრულიად შეუფერებელნი: „ზრდილობა“, „თავმდაბლობა“, „თავაზიანობა“, „პატივისცემა“, „პიროვნებისა და საკუთრების ხელუხლებლობა“, „სიფხიზლე“ და სხ.; მათ ნაცვლად კი იხმარონ და პრაქტიკულადაც განახორციელონ: „უზრდელობა“, „ამაყობა“, „თავხედობა“, „შეურაცყოფა“; „ცემა-ტყეპა“, „ძარცვა-გლეჯა“, „სიზარმაცე“, „სიმთვრალე“ და სხ. მოწაფე ქალებსაც ხელი მოუწერიათ ამ დადგენილებისათვის ორიოდ სიტყვის გამოკლებით; თავის მხრით კი დაუძენიათ, რომ „მორცხვობისა“ და „კდემამოსილობის“ ნაცვლად შემოღებულ იქმნეს ხმარებაში „ურცხვობა“ და „უტიფრობა“.

— ქუთაისის ადმინისტრაციას საჭიროდ დაუნახავს, ციხის სივიწროვის გამო, ზოგიერთი მცირე სასჯელიანი ტუსაღი გაენთავისუფლებინა, რომ ამგვარად „ვაკანსიები“ გაეხსნა ახალ ტუსაღებისთვის.

ნემსი.

—

ფოთი. ეპისტოლე. პატივცემულო „ნიშადურო“, მართალია ბევრია ნიშადურის მთხოვნელი, მაგრამ ნუ დაიზარებთ და ცოტა ჩვენკენა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთშიაც გამოგვიგზავნეთ, ვინაიდგან ძლიერ საჭიროა. ფოთის ს. დ—ებმა კვლავ დაიწყეს ბერვა ცილისწამების ტიკჭორებისა და, თუ დროზე ნიშადური არ ამოვცხეთ, მოსალოდნელია მეტის გაბერვით ტიკჭორა გასკდეს და ფოთის საზოგადოება დაგვიფორიაქოს... დიდ სიშნევეს იჩენს ამ შემოხვევაში ვ.—კ.—ძე, რომელიც უკვე შეუდგა ტიკჭორების ბერვას და თუ ზედ დაემატა ფოთელი ბზიკიც თავისი უგზო-უკვლო ბზუილით, მაშინ გვერწმუნეთ, ნიშადურიც ვერ გასჭრის და ფოთი მართლაც შფოთად გადიქცევა... ჰო და სადაც შფოთია იქ ლხინი და დღესასწაულია ჩვენებური ესდეკებისათვის; სადაც წყალი მღვრივეა იქ ღლამებისა და კამბოლების ნადიმია! გაითვალისწინეთ ჩვენი გასაჭირი და მოგვაშველეთ დროისით ნიშადური, რომელიც თურმე ძალზე ეცხებათ ზოგიერთებს და სულ ვაი, ვაის გაიძახიან... მოველით საჩქაროთ.

ასკანელი პროკოფია.

უფასო განცხადება საჩხერლებისათვის.

საჩხერის უფასო სამკითხველო ამით აცნობებს პატივცემულს საზოგადოებას, რომ მიღებულია და ისყიდება ფრიად ხელსაყრელ ფასებში: შროშის, სალიეთის და ჯოყოეთის ქარხნების ჭურჭლეული: ჩაფები, ნიტრები, ხელადა-თუნგულები, დერგ-ხალმები, ქოთნები ყურიანი და უყურო, კვაწიები სხვა და სხვა ზომისა, წიფლავაკური ყალიონები, ოფიჩო შიგ ჩასავალი და საზედაო სარცხლისათვის და სხვა და სხვ...

გარდა ამისა საზღვარ-გარეთელი საუკეთესო ქარხნებიდან ფას-დადებით გამოწერილი მეტივური დაშაბული ქალამნები უკვე მიღებულია საჩხერის სადგურზედ, ხოლო გამოსყიდვა დამოკიდებულია ლისტების სისრულეში მოყვანაზედ. სახელოსნო განყოფილებაში მიიღება ფეხ-საცმელების ზაკაზი, მასთან დასაპაჩინკებელი ყოველ-გვარი ჩუშტები ვინაიდგან ჯღანები ბლომათა გვაქვს.

პრეის-კურავტი მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

პატივისცემით გამგეები.

აღსდგება დაჩაგრულია.

გამხნევდი მრავალ-ტანჯულო,
არ შეგიშინდეს გულია—
დღეს თუ არა—ხვალ ხომ მაინც
აღსდგება დაჩაგრულია.
იგრგვინვებს მეხი მრისხანე
ცა ლურჯათ მოიწმინდება
განფანტავს წყვდიად—სიბნელეს
მნათობიც ამობრწყინდება.
დაამსხვრევს რკინის ბორკილებს
შესწყდება გმინვა-წუხილი
და სამუდამოთ ჩაქრება
მშრომელთა გულის დუღილი.
გამხნევდი მრავალ-ტანჯულო,
არ შეგიშინდეს გულია,
დღეს თუ არა—ხვალ ხომ მაინც
აღსდგება დაჩაგრულია.

ა. თალაკვაძე.

ზემოდგომა.

(რუსულიდგან)

მზე დაიბურა შავი ღრუბლებით,
მძაფრი ქარი ქრის და ძლიერ ცივა;
ქარი მცენარეთ არხევს აწბილებს;
მცენარეთაგან ფოთლები ცვივა.
მდინარე მოდის გაჯავრებული;
ტყიდგან მოისმის ხმა ტირილისა;
ცა გაეხვია ბლოვის ძაძებში
და თვალთაგან სდის ცრემლი წვიმისა;
მინდვრებს არ ატკბობს ფრინველთ გუნ-
მიმოიმალენ თევზები წყალში: | დის ხმა;
ყველგან გამეფდა მოწყენილობა;
ცივა მინდორში, ცივა თვით სახლში,

ა.

სამი თავი.

(არაკი)

ორნი ძმანი ტყეში ნადირობდნენ და ერთს ალაგს სამი კაცის ქალა ნახეს.

— ნეტა რა ტომის კაცებისა უნდა იყოს ეს სამი თავიო?—იკითხა უმცროსმა ძმამ.

— დამაცა, ახლავე შევიტყობ,—სთქვა უფროსმა. ჩამოდგა და თითო ქალას ისარი სტყორცნა.

ერთს ქალას ისარმა შიგ გაუარა, მეორეს ჩაეჭედა, მესამე ქალამ კი ისხლტუნა ისარი.

— რა შეიტყეო?—ჰკითხა უმცროსმა ძმამ.

— ეს პირველი ქალა,—მიუგო უფროსმა,—შამახელისაა; ქარიან შამახელის თავში რაც უნდა შევიდეს, ვერა დადგება რა. მეორე ყარაბაღელისაა; ჯიუტ ყარაბაღელს თუ თავში ჩაუჯდა რამე, ველარ დააგდებინებ მესამე კი დერბენდელისაა; იმ ოხერ თავში არცარა შედის და არცარა გამოდისო.

* * *

ესე ამბავი თათრული, ქართულად ნათარგმანები, ჩვენი დასების საცნობად, მკითხველო, გამოიყენე.

რიშ—ბაბა.

SPERANZA-ს სიმღერა.

მისთვის არ ვწერ, რომ დავწერო
რამე კარგი, აზრიანი;
არა, მხოლოდ ვიტლინკები...
მინდა ვიყო ბნედიანი...

ხეჩატურა ტემას მაძლევს,
თავხედობას—ავი სული,
რაა ჩემთვის შუბლი, ღმერთი?..
არ მომაკლდეს მხოლოდ ფული!..

რა ხანია ყველას ვლანძღავ,
თვით არ ვიცი რათა, რისთვის...
ტვინში რაღაც მიღიტინებს. .
ვილანძღები ქეიფისთვის!..

ფერსაც ვიცვლი, აზრსაც ვიცვლი,
ბრაზს ვატარებ ბოროტ გულში,
არა რა მწამს, არვინ მიყვარს,
ვანაცვალებ ყველას ფულში!

ვინც მეტს მომცემს იმისი ვარ,
ხან გოთუა, ხან ესაძე...
დღეს ცემული ხეჩატურა,
ხვალ, თუ გინდა, ისიც განზე!..

ვით მეეტლე ყველასი ვარ,
ვერცხლზე ვყიდი სიტყვას—კალამს;
ალბად ეგ არის მიზეზი,
რომ არავინ მაძლევს სალამს!..

მონადირე.

კითხვა—პასუხი.

(ქართველ მარქსისტების გამოცდაზე).

— რა არის ესდეკი?

— ესდეკი უპირველესი და უწმინდესი სოციალისტია მთელს დუნიაზე და აუცილებელი კანდიდატი სახელმწიფო დუმაში, ვინაიდგან ყოველი დუმა ტკბილი და თბილია!..

— რა არის „დუმა“?

— დუმა ისეთი ცენტრალური ორგანოა, რომლის საშუალებით სოციალიზმი უნდა დამყარდეს მთელს სამყაროზეე...

— რა არის პროლეტარიატი?

— პროლეტარიატი თუმცა ჩვენში არ არის, მაგრამ უნდა გავაჩინოთ ან შევთხზათ, რათა პროლეტარიატის დიქტატურით განვაგოთ მთელი ქვეყნიერობის ბედ-ილბალი.

— რა არის ბურჟუა?

— ბურჟუა არის ყველა—ვინც ესდეკს არ ემონება: ესერი, ესფერი და სხვა მაგვარი ფეოდალები.

— რა არის ბაირაღტარი?

— ბაირაღტარია ყველა ჩვენი კანდიდატი: სვიმონ წერეთელი, კაციაშვილი, ლომთათიძე, კანდელაკი და სხვანი ესდეკების მიერ გამეცნიერებული.

— რა არის მტერი?

— მტერი ის არის, ვინც ავტონომიაზე ოცნებობს!..

— რა არის მოკეთე?

— მოკეთე ის არის, ვინც ცენტრალიზმის თაყვანის მცემელია და მას ანაცვალებს სამშობლოს ინტერესებს!

— რა არის სამშობლო?

— ფუჭი სიტყვა შოვინისტებისგან მოგონილი და ჩვენებურ მარქსისტების მიერ საუკუნოდ დაგმობილი!..

— ყოჩაღ! მიღებულ-ხარ ჩვენს ერთად-ერთს პარტიაში...

ვერ წამიხვალ!

მეგაზეთე. ტელეგრამ, ინტერესნი ტელეგრრამ!..

სოციალ-დემოკრატი (ს.-ფედერალისტს),—მოდი ტელეგრამა ვიყიდოთ, წავიკითხოთ დუმაში რა ამბავია.

ს.-ფედერალისტი.—მე არა ვყიდულობ. მე დუმას ბოიკოტი გამოვუცხადე.

ს.-დემოკრატი.—ჰოო... აკი გეუბნებოდი, შვილოსან, შენი ბოიკოტი ბურჟუაზიული ხრიკია მეთქი. გინდა შაურიანები გადადო და კაპიტალი მოაგროვო, განა?!

მოდავე ვინ არის?

— რად დაიჩემა „ეშმაკმა“ ეშმაკის სახელი?

— ეგეც ერთი შანტაჟისტური ექსპროპრიაციაა: იცის „ეშმაკმა“, რომ ეშმაკი ვერც სუდში უჩივლებს, ვერც აზღვევინებს,—და ატარებს იმის სახელს.

საარაკო ამბავი.

— როგორ მოხდა, რომ ჩვენს კარლო ჩხეიძეს ბათუმის დუმაში ხმოსნად იწუნებდნენ, სახელმწიფო დუმაში კი სოციალ-დემოკრატების ლიდერად აურჩევიათ?

— ისე, რომ იმ საარაკო ჩიტის ამბავი მოსვლია: პატარა ქვაბში ლაყი იყო, ახლა დიდში არ ეტევა.

ბაყაყეთის დელი-დელა.

„ეშაკის“ მუტრუკს ვგაძგერ,
და ვაურეოინებ ნელაო,
შეუსაბამოს მოვეწორავთ...
ოჰ, დელა, დელი, დელაო!—
ეტყვის ეშმაკი მოძახილს,
კა-კო დაადგებს უბასაო,
მორიელი ხმას შეუწყობს,
ბრანდი ეტყვის ბანსაო!
ისტორიკოსი შებდავდებს,
ბიტნა გაწიწმატდებაო,
ნაზიანიც ვუქოვებს,
რომ „ეშაკს“ შეაჯდებაო!..
ზენტი, ჭინკაც და მრავალიც
ჩვენში არ დაიდგვაო,
„ეშაკის ტალახს“ რა ჯობნის!..
ჰო, დელა, დელი, დელაო!

კოწია ენოსისელი.

კუტრუსებს.

ნუ გეუცხოვება, მკითხველო, ეს ახალი სიტყვა—სათაური კუტრუსი.

ეს სიტყვა საგანგებოთ მოვიგონე ერთგვარი ჯურის მჯღაბნელებისათვის.

„უკუდო ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერებდაო“, სწორედ ზედ გამოჭრილია „ეშაკის ტალახის“ კუტრუსებისათვის.

კუტრუსები „ოხვრენ“, „ტირიან“ „თავ-პირში იშენენ—**ეთიკა დავკარგეთო**...

რა „ეშაკური„ შეცდომაა!

რაც არა გქონიათ, როგორღა დაკარგავდით!

ეთიკა არასოდეს არ ყოფილა ბაყაყეთის სტუმრად და არცა როდისმე იქნება.

რა უნდა ეთიკას—სიფაქიზეს და ზნეობრივ სისუფთავეს კუტრუსებთან-ქვემძრომებთან?

შესაძლებელია განა სიფაქიზე და სიწმინდე მორიელისა—ცარიელისა, აზიანისა—ავზნიანისა, ეშმაკისა—ზნეობით მანკისა, ბლიკვაძისა—ტლინკაძისა, დათუნასი—თაგუნასი, კაკო—კუკუსი, ისტორიკოსისა—კომპროჩიკოსისა და სხვათა მათთანა სორო-წუმპეს ბინადართა?

ახირებული პრეტენზიაა სწორედ.

რა ხელი აქვთ ამ ხორცმეტებს და მავნე სოკოებს ეთიკასთან?

სად ერეკლე, სად თეკლე?!

მთელი ეს უწმინდურთა ხროვა, მთელი ეს ქვემძრომთა წუმპე კუდიანებისა თუ უკუდოთა, ეს მეტიჩრები და ჩირქიანი მუწუკები ქართულ მწერლობის ორგანიზმზე „მოღვაწეობას“ ლამობენ, ვითომდა „საქმეს ვაკეთებთო“ და ასე წარმოიდგინეთ „მზის ამოსვლას“ შენატრიან, „მერცხლების ჭიკჭიკს“ შეხარიან!..

აფსუს ქალალდო და მელანო?!

მერე და „მზის ამოსვლამ“ ხომ გაგაქარწყლათ, გაგანიავმტვერად ელვის უსწრაფესად?!

იმ სოროსა და წუმპეში, რომელშიაც თქვენ ფუსფუსებთ, სინათლეს ხომ არასოდეს არ შეუშუქებია, თორემ განა დღემდე იბოგინებდით ჩვენს საბრალო და თქვენგან აბუჩად აგდებულ, გახრწნილ-გათახსირებულ ქართულს მწერლობაში?!..

რატომ არ იცით, რომ თქვენ სამწუხარო, თუმცა აუცილებელი გარდამავალი მოვლენა ხართ შავბნელ დროისა და მერცხლის პირველსავე ჭიკჭიკზე აღიგვებით მწერლობის პირისაგან.

რით ვერ გაიგეთ, რომ თქვენი „სახელი, დიდება და ღვაწლი“,—რომელიც დღეს ეთიკას მორცხობის ალმურსა გვრის ფერმიხდილ სახეზე, ყურებს ბამბით აცობინებს და ცხვირის ნესტოებზე ხელებს აფარებინებს,—დავიწყებას მიეცემა უკუნითი უკუნისამდე?!

თქვენი მორჩენა და მორჯულება სინათლით და ჭიკჭიკით კი არა, ნიშადურით უნდა. საჭირო დეზინფექციის მოხდენა სამწუხაროდ „ნიშადურს“ რგებია წილად და ჩვენც არ მოგაკლებთ ნიშადურის სხურებას და წაცხებას.

რაც უნდა იპამპულოთ და ინავარდოთ „ეშაკის ტალახში“, მისი მურტალი წინწკლები ჩვენ არასოდეს არ მოგვწვდება, რადგან თქვენ მეტის მეტად დაბლა სდგეხართ...

თუ უბრალო შემთხვევამ, უკაცრაული სიტყვაა, „გაზეთი“ ხელთ მოგცათ, ეგ კიდევ არ ნიშნავს, რომ როდისმე ჯღაბნია მწერლად იქცეს.

აკი თქვენისთანებზე ამბობს რუსთაველი „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“ კარგად დაიხსომეთ, კუტრუსებო, რომ თავისუფლება თავსლაფის დასხმა როდია!

მონადირე.

კრიჭანგზედ უფრო კრიჭანგი.

ერთმა კრიჭანგმა ერთ რაღაც საქმეში დიდ ძალი ფული წააგო და სასოწარკვეთილმა თავი ჩამოიხრჩო.

იმისმა ხელზე-მოსამსახურე ბიჭმა, რო დაინახა თავისი აღა თოკზედ ჩამოკიდბული, სწრაფად გადასჭრა თოკი ხანჯლით და სიკვდილს გადაარჩინა თავისი აღა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაეთხოვა აღას ეს ერთგული მოსამსახურე, ჯამაგირის მიცემის დროს კრიჭანგმა თოკის ფასი გაიოურიცხა, რადგანაც ახალი თოკი იყო და ხანჯლის გადაჭრით წახდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათრების გამოჩენილი პირები.

ამიერ კავკასიის შეიხ-ულ-ისლამ ახუნდ-აბდუსალამ ახუნდ-ზადე. † 18 ნოემბ. 1907 წ.

გამოცანა.

არ გაწუხებს შენ სხვისი
კვნესა და მწუხარება;
ფულია შენი ღმერთი,
შენი ბედნიერება.
აღარ გახსოვს სხვა რამე,
მხოლოდ ფული და ფული,—
ეშმაკის კერძათ გახდი,
შურით გიძგერს შენ გული...
განა იმით ამაყობ,
მდიდარი რომ ბრძანდები,
სხვისი ოფლით გამძღარი
ამაყათ დაბრძანდები?!
ზიზღი შენ გაიძვერავ,
ჩაგრულთა სისხლის მსმელო;
კუჭის მონავ, დუხჭირო,
ზიზღი ასპიტო—გველო!..

გ. ლადოშვილი.

რა დანაშაულობა არ დაისჯება კანონით.

ხვევნა-კოცნაში „ჩახრჩობა“ საყვარელ ქალისა.

გაზეთში „გალახვა“ დამნაშავისა.

დროს „მოკვლა“—ქაღალდის თამაშობით.

„მოპარვა“—სხვისი აზრისა გაზეთის სტატიისათვის..

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

შეცდომის გასწორება.

წინა №-ის „სპარსულ სიბრძნეში“ (გვ. 5) დაბეჭდილია: სიკეთის **გადახთა** სიკეთით ვირმა იკის, ავის **გადახთა** ავით—ძაღლმა, სიკეთის **გადახთა** ავით—ეშმაკმა და ავის **გადახთა** სიკეთით—ღმერთმა.

ოთხჯერვე **გადახთას** მაგიერ უნდა იყოს **გადახდა.**

განცხადებანი.

დ. ყვირილა

მანუფაქტურისა და გალანტერეის მაღაზია

„მოდნი სვეტ“

იორამ გაჩეჩილაძისა

მიღებულია ახალი ყოველგვარი საქონელი: იყიდება დაკლებულ ფასებში.

არის ყოველთვის ყოველგვარი ზომის გალოშები. მაღაზია მოთავსებულია—სადგურის პირდაპირ საკუთარ სახლებში.

ამ ნომერთან ერთად ეგზავნება ხელისმომწერთ

ნეიმელერის რეზინის კალოშების განცხადება.

ვთხოვთ მკითხველთ მოსთხოვონ გაზეთის გამყიდველებს განცხადებაც.

დაიბეჭდა და გამოვა გასასყიდათ „ნიშადურის“ კრებული.

ელექტრომბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“** მადათოვის კუნძეული სახლი მუხრანსკისა, № 1. 29 ნოემბერი.